

„თეოლოგიის განვითარებას უწყობს წმინდა სიტყვის ყოველგვარი საფუძვლიანი სახეობა... ყოველი სასულიერო, რელიგიური, მონასტრული ცენტრი თუ სხვადასხვა სახის სასულიერო და მონასტრული ცენტრები უნდა იყოს დაფუძვნილი, რომ მოახდინოს მონასტრული ცენტრების აღდგენა და განვითარება.“

ხობის მოამბე

№17 (7086)
31 ოქტომბერი,
ოთხშაბათი, 2012 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ვიხილ სააკაშვილი: უმრავლესობას ვუსურვებ, არაფერი დაანეროს და გააუარესოს



საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის პირველ სხდომაზე უმრავლესობასა და უმცირესობას რჩევები მისცა და მათ როლზე ისაუბრა. გამოსვლისას პრეზიდენტმა ყველას მოუწოდა, საქართველოს ტერიტორიის ოკუპანტის მიერ დაგებული არც ერთ ხაფანგში არ გაეხდნენ. „ვეუსურვებ უმრავლესობას არაფერი დაანეროს და გააუარესოს, რომელიც დარწმუნებული ვარ არ გსურთ, არამედ შეძლოს მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული იმ დაპირებების შესრულება, რომელიც ხალხს მისცეს. უმცირესობას კი, ვუსურვებ, რომ ეყოს ძალა, რომელიც მთავრობას დაეთანხმება, როდესაც ის სწორი იქნება, მაგრამ აბსოლუტურად მოუსვენარი და შეურიგებელი იქნება, როცა ის ხელისუფლებას არ დაეთანხმება.“ - განაცხადა სააკაშვილმა

საქართველოს მარჯვ მონაწილის პარლამენტმა საქართველოს პრემიერ მინისტრად ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ ლიდარი ბიძინა ივანიშვილი დაამტკიცა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გახდა

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გახდა. პლენარულ სხდომაზე, უსუფაშვილის კანდიდატურას კენჭი უყარეს და ის სპიკერის პოსტზე 88 მომხრე ხმით არც ერთის წინააღმდეგ დამტკიცდა. საპარლამენტო უმცირესობას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. ამიტომ აღნიშნული კანდიდატურის მიმართ წინააღმდეგობა არ დაფიქსირებულა.

პარლამენტმა მთავრობის ახალი რეკომენდაცია დაამტკიცა

25 ოქტომბერს პარლამენტმა 88 ხმით 54-ის წინააღმდეგ მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა. მინისტრთა კაბინეტი დეპუტატებს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ირაკლი გორდულაძემ წარუდგინა: ეკონომიკის მინისტრი იქნება გიორგი კვიციანი; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი-დავით ნარმანი, რომელიც მომავალში ფინანსთა მინისტრის მოადგილე გახდება; ფინანსთა მინისტრი-ნოდარ ხადური; განათლების მინისტრი-გიორგი მარგველაშვილი; ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი-დავით დარახველიძე; ენერჯეტიკის მინისტრი-კახა კალაძე, რომელიც მანამდე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატად იყო დასახელებული. იგი დარჩება ვიცე-პრემიერად; გარემოს დაცვის მინისტრი-ხათუნა გოგალაძე; ჯანდაცვის მინისტრი-დავით სერგენკო, რომელიც სანხეივის სამედიცინო ცენტრს ხელმძღვანელობდა; შინაგან საქმეთა მინისტრი-ირაკლი ღარიბაშვილი; თავდაცვის მინისტრი-ირაკლი ალასანიანი (ამავე დროს ვიცე-პრემიერი); იუსტიციის მინისტრი-თეა წულუკიანი; სასჯელაღსრულების მინისტრი-სოზარ სუბარი; სოფლის მეურნეობის მინისტრი-დავით კირვალიძე; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი-ლევან ყიფიანი; საგარეო საქმეთა მინისტრი-მაია ფანჯიკიძე; კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი-გურამ ოდიშარია;

დასაბრუნებელი სახელმწიფო მინისტრი-კოტე სურგულაძე; ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი-ალექსი პეტრიაშვილი; რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი-პაატა ზაქარეიშვილი; დასაქმების სახელმწიფო მინისტრი-კახა საკანდელიძე. სამომავლოდ ეკონომიკის სამინისტროს შეურთდება ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსების ხოლო მას შემდეგ, რაც ოფიციალურად გაუქმდება დასაქმების სახელმწიფო მინისტრის პოსტი, საკანდელიძე საქმიანობას ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე გააგრძელებს; საპარლამენტო უმცირესობამ ახალ მთავრობას მხარი არ დაუჭირა.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად სოციალ-დემოკრატიული ოცნების პარლამენტში ორი დეპუტატი ყავს



გიორგი ბუკია, მემორიალური დეპუტატი „ენმ-მეტი სარბიშვილი ხალხს“

გიორგი ბუკია, არჩეული პროპორციული წესით ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“.

მთავრობის შემადგენლობა

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები შედეგად როგორც რესპუბლიკაში, ასევე სოციალ-დემოკრატიულ ოცნებაში 29 422 ამომრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო 18 643 ამომრჩეველმა. მემორიალური წესით არჩევნებში მონაწილეობას დაეწყო 7 კანდიდატი, წარმომადგენელი მიღებულ ხმათა რაოდენობას:

- №1. როსტევეან გვარამია (კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო)-143 ხმა.
- №5. გოდერძი ბუკია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს)- 10088 ხმა.
- №9. ალიკო ქანთარია (სამართლიანი საქართველოსთვის)-103 ხმა.
- №10. ბორის ბერაია (გიორგი თარგამაძე-ქრისტინა დემოკრატიული გაერთიანება)- 735 ხმა.
- №24. კახა ლატარია (ახალი მემარჯვენეები)-335 ხმა.
- №38. ამერან ქანდარია (შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია)-168 ხმა.

- №41. გიგა ბუკია (ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება)-6416 ხმა.
 - 10088 ხმით პარლამენტის მემორიალური დეპუტატი გახდა გოდერძი ბუკია; პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგად ხმები გადანაწილდა შემდეგი სახით: 1. კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო-64 ხმა.
 - 4. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს“-10165 ხმა.
 - 9. „სამართლიანი საქართველოსთვის“-63 ხმა.
 - 10. „გიორგი თარგამაძე-ქრისტინა დემოკრატიული გაერთიანება“-593 ხმა.
 - 17. „სახალხო მოძრაობა“-10 ხმა.
 - 19. „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“-14 ხმა.
 - 23. „ჯონდი ბაღათურია ქართული დასი“-8 ხმა.
 - 24. „ახალი მემარჯვენეები“-79 ხმა.
 - 26. „სახალხო პარტია“-3 ხმა.
 - 30. „მერაბ კოსტავას საზოგადოება“-5 ხმა.
 - 35. „მომავალი საქართველო“-4 ხმა.
 - 36. „საქართველოს მშრომელთა საბჭო“-8 ხმა.
 - 38. „ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“-244 ხმა.
 - 40. „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“-6 ხმა.
 - 41. „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“-6704 ხმა.
- არჩევნების შედეგად პროპორციული წესით საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გახდა ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“-ს კანდიდატი გიგა ბუკია. ბატონ გოდერძი და გიგა ბუკიებს ვულოცავთ არჩევნებში გამარჯვებას.
- გლორია, №66 ხოლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ს. კვარცხელია, კომისიის მდივანი.

დღევანდელი ნომრის სტუმარია სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი ქალბატონი მანანა წულუკისკირი, რომელიც გვესაუბრება თუ რა სახელები დაინერგა და დაინერგება სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაში...

საბავშვო ბაღები ჩვენი მომავლის ღირსეული საფუძვლია. ახლდღევანდელი, დღის კალთას ამოფარებული ბავშვი პირველად საბავშვო ბაღში ხვდება და აქედან იწყებს განათლების სისტემის პირველი საფეხურის ათვისებას. აქ იძენს უნარ-ჩვევებს, უყალიბდება ხასიათი, ხდება მისი ფიზიკური ფორმირება და, რაც ყველაზე მთავარია, იძენს ცოდნას.

იმ ცხელი ზაფხულის ორთვიანი არდადეგების შემდეგ საბავშვო ბაღის ეზოები კვლავ ახმანდა...

საბავშვო ბაღების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ყველა პირობა შექმნილი, ამიტომ 17 სექტემბერს სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების 29 სტრუქტურული ერთეულში განახლდა

მინიჭებული აქვთ 57,0 ათას სარეიტინგო ქულამდე; საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოთა და მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც 3 ან 3-ზე მეტი შვილი ჰყავთ.

რა სახელები გაქვთ მეთოდური თვალსაზრისით?

-გასულ სასწავლო წელს თბილისის მერიის შეკვეთითა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრში მომზადდა პროგრამა. 2011-2012 სასწავლო წლის მანძილზე სახელმძღვანელომ პილოტირება თბილისის საბავშვო ბაღ-ბაღებში გაიარა. პროგრამის მეთოდოლოგიად გა-

დაეხმარება აღმზრდელს მიზანმიმართულად დაგეგმოს და განახორციელოს ისეთი აქტივობები, რომლებიც აღსაზრდელთა გარკვეული უნარების განვითარებას ხელს შეუწყობს. სასწავლო წლის ბოლოს ხელახალი შეფასება- გადაფასების საფუძველზე გაიზომება თითოეული ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში მიღწეული შედეგები;

კიდევ რა სახელებია და რა პროექტების განხორციელებაზე მუშაობს სკოლამდელი გაერთიანება?

-მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით ალტერნატიული ბაღის 2 ჯგუფი გაიხსნა.

ვისი პროექტით განხორციელდა ალტერნატიული საბავშვო ბაღების გახსნა?

-პროექტი განხორციელდა პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციის „EDUKATOR-ისა“ და „Civitas

„მემღერება და ვიმღერებ“

თუმცა, ის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა და ცხოვრობს მისი თანატოლების მსგავსად, მაგრამ აქვს ის განსაკუთრებული მიდრეკილება, რომელიც განსხვავებს მას სხვებისაგან. ეს განსაკუთრებული კი მდგომარეობს ხელოვნების ისეთი დარგის სიყვარულში, რომელსაც ზოგადად მუსიკა, კონკრეტულად კი სიმღერა ჰქვია.



საუბარია ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრზე, ნოჯიხევის საჯარო სკოლის წარჩინებულ მოსწავლე ანა ვეკუაზე, რომელმაც სულ ახლახან, მონაწილეობა მიიღო ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ-„სლაფიანსკი ვენეც“, სადაც 26 ოქტომბრის ვარსკვლავი დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ ამ ფესტივალისთვის მზადება კარგა ხანს მიმდინარეობდა. მისი პირველი ეტაპი ურეკში 19 მაისს ჩატარდა, რომელშიც 200 ბავშვი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მონაწილეობდა. აქედან 40 ბავშვი გადავიდა II ტურში, რომელიც ბათუმში გაიმართა.

ფესტივალზე მონაწილეობის საგზური ჩვენი რეგიონის სამმა კანდიდატმა მოიპოვა, ესენი იყვნენ-ქ. ზუგდიდის მომღერალთა ტრიო (სრული დაფინანსებით), ანა ვეკუა (50% დაფინანსებით) და ძველი ხიბულიდან მარი აბშილავა (II ადგილი). ქ. ვარნაში გამართულ ფესტივალზე მონაწილეობას დასწავლდა 20 ქვეყნის 400-მდე მომღერალი, იგი ექვსი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სწორედ ამ ფესტივალის გამარჯვებული გახდა ანა ვეკუა, „თეთრი ვარდები“. ჩვენ შევხვდით ანა ვეკუას და გავსაუბრეთ მას.

როგორი მუსიკა გზიბლავთ?
-მზიბლავს კლასიკური მუსიკა, რადგან ვთვლი, რომ ის ჩემს გრძნობებს ეხმარება. ვუსმენ როკს. გააჩნია როგორ განწყობაზე ვარ, მაგრამ როგორ განწყობაზეც არ უნდა ვიყო, ვარ ქართული სიმღერის ტრფიალი.

როგორ მიგაჩნია, მთავარი წარმატებაში რა არის -ნიჭი, მონღობა თუ შრომა?
-ვფიქრობ, ეს სამივე კომპონენტი შერწყმული უნდა იყოს ერთმანეთში, საბოლოო შედეგის მიღწევის საქმეში.

ვინ ითამაშა გადამწყვეტი როლი შენს მუსიკალურად ჩამოყალიბებაში?
-მიმანია, რომ მშობლებმა უყურადღებოდ არ დატოვეს ჩემი განსაკუთრებული სწრაფვა სიმღერის მიმართ, მხარში ამოვიდნენ, ხელს მიწყობდნენ და მიწვობენ ახლაც, რათა ამ საქმეში მივაღწიო უფრო მეტს, რომელიც ძალიან მიყვარს. ისინი, დღეს ჩემი გულშემოტკივრები და პირველი შემფასებლები არიან.

როგორია სამომავლო გეგმები?
-მინდა გავხდე წარმატებული კურნალისტი. მასთან ერთად ვოცნებობ კარგ მომღერლობაზე.

წარმატებებს ვისურვებთ, ანა!
-გმადლობთ!

მესაუბრა მანანა შულაია

„მნიშვნელოვანი იდეები დამსახურებდა“

პოლონური ბაღი საჯარო



სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. რამდენი აღსაზრდელი დარეგისტრირდა ახალ სასწავლო წელს?

-სექტემბერში მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში დარეგისტრირდა 928 აღსაზრდელი, აქედან ქალაქში 280 და სოფელში-648.

ზომ ვერ მეტყვი, წინა წლებთან შედარებით წელს კონტიგენტმა მოიმატა თუ არა?

-წინა წლებთან შედარებით კონტიგენტმა საგრძნობლად მოიმატა და ზოგიერთ ბაღში აღსაზრდელთა მიღება შეეზარებოდა, რადგან ჯგუფები გადაიტვირთა.

განსაკუთრებით რომელი ბაღებია გადატვირთული?

-ხობის №1, ხობის №2, ხეთის №1, ნოჯიხევის №2, ახალსოფლის, საჯიჯაოსა და პირველი მაისის საბავშვო ბაღები. გეტყვი, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მცირეკონტიგენტები ბაღებიც. აქვე მინდა გთხროთ, რომ ჯანდაცვის ცენტრმა მოგვაწვალა სტატისტიკური მონაცემები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაღის ასაკის (3დან 6-წლამდე) ბავშვთა რაოდენობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობს 1 686 ბავშვი და აქედან მხოლოდ 928 (55 %) დადის ბაღში. აქედან გამოდინარე, შეიძლება კონტიგენტმა მოიმატოს.

შეიცვალა თუ არა აღსაზრდელის მშობელთა შენატანის ოდენობა და რომელი კატეგორიის ოჯახის შვილები არიან განთავისუფლებულნი გადასახადისგან?

-გადასახადი იგივე რჩება. ხობის მუნიციპალიტეტის საქრებულო თაემფლომარის 2011 წლის 25 თებერვლის №59 განკარგულების საფუძველზე, აღსაზრდელთა მშობლების შენატანის თანხა განისაზღვრა შემდეგი ოდენობით: ქ.ხობის ბაღებისთვის-20 ლარი; სოფლის ბაღებისთვის-15 ლარი.

მშობელთა შენატანის თანხისგან განთავისუფლდნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემდეგი კატეგორიის ოჯახები სოციალურად დაუცველები, რომელთაც სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ

მოყვებულია თემატური სწავლება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მეთოდი. ეს პროგრამა მოიწონა განათლების სამინისტრომ და გამოიცა სახელმძღვანელოს სახით „სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბავშვბაღებისათვის“. მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებულია ავტორული განხორციელების უფლება. ამ სასწავლო წლიდან ყველა სტრუქტურულ ერთეულში დაინერგა სკოლამდელი განათლების ეს პროგრამა, რომელიც ეფუძნება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებულ 0-6 წლამდე ბავშვის განვითარების სტანდარტებს და ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული უნარების (კოგნიტიური, მეტყველების, მორტორული, შემოქმედებითი) განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც. პროგრამაში შესულია ის თემები და აქტივობები, რომელიც ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენტობის ზრდას შეუწყობს ხელს.

Coordica-ს“ მიერ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

ხალ გაიხსნა აღნიშნული ჯგუფები და რა ასაკისთვის არის გათვლილი?

-აღნიშნული ჯგუფები გაიხსნა ხეთის №1 და საჯიჯაოს საბავშვო ბაღებში. ჯგუფები გათვლილია 3-6 წლის 40-მდე აღსაზრდელზე.

რას ითვალისწინებს პროექტი?

-აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა პედაგოგები და ჯგუფები, აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, საკანცელარიო ნივთებით, წიგნებითა და სათამაშოებით.

1-3 ივლისს მუნიციპალიტეტის 4 აღმზრდელი გაემგზავრა პატარბეულში

ტრენინგი ურეკში



ტრენინგზე, რომელიც თემაზე „დიდაქტიკური-აღმზრდელობითი მუშაობის დამატება“ ჩატარდა. 12-14 სექტემბერს თვითმართვლობისა და გაერთიანების წარმომადგენლებისათვის დაბა ურეკში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სკოლამდელი განათლების ხარისხი“-დგილობრივი თვითმართვლობის საგანმანათლებლო პოლიტიკის მხარდაჭერა საქართველოში.“ II სემინარს კი პროექტის ფარგლებში პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია „EDUKATOR-ის“ და ქალბატონ მაქსინა რაფალკას მოწვევით, საქართველოს 8 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ერთი კვირით პოლონეთში ალტერნატიული სკოლამდელი განათლების გამოცდილების გასაზიარებლად გაემგზავრებოდნენ. პროექტის დასრულებამდე მათი ბოლოს და ვიმედლოვნებთ, რომ იანვრიდან გაგრძელდება.


რა ღონისძიებებს გეგმათ ახალ სასწავლო-სააღმზრდელო წელს?

-ახალი სასწავლო წლისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იდეები გვაქვს. შემუშავდა გაერთიანების წლის სამუშაო-სამოქმედო გეგმა, სადაც გათვლილი იქნება სხვადასხვა სახის შემოქმედებითი, ინტელექტუალური და სპორტული ღონისძიებები. ყოველი თვის ბოლოს აღმზრდელს ადგილობრივი რესურსებით ტრენინგები ჩატარდება.

მესაუბრა ნანი კილასონია.

ინჟინერის საღაობი

სულის ფსკერიდან ცის გუმბათისკენ ანუ უსათაუროები



ყველა ჩემი ნაფიქრული... მანანა შულაია

ყველა ჩემი ნაფიქრული... მანანა შულაია

ყველა ჩემი ნაფიქრული... მანანა შულაია

ყველა ჩემი ნაფიქრული... მანანა შულაია


მანანა შულაია.

„მშვენიერი ხარ, შეჩერდი წამო“

საით მიღხარ, მშვენიერო, შეჩერდი წამო, დე! უსაზღვრებოდ, შენს ვულკანებს გულში ვიმსხვრევდე...



შენი სიყვარულით იას ვუმღერებვარ, შენი სიყვარულით ბალახს ვეფერები, შენ თუ გეფერები ამას ის ეშხი აქვს...



კი არ აუცრიათ ჩემთვის სიყვარული, სული ვულკანურმა ცეცხლმა გადათქორა, კი არ მისწავლია წერა სტრიქონების...



ფაცხა დაწნა და ზედ ისლი დაახურა, ფაცხის ახლოს ჭა მოაწყო შესაფერი, მერე თარი გამართა და აამღერა...



გუშინ თოვლა, დღეს წვიმაა, როდის გამოიდარებს? ვარ ოთახში ჩაკეტილი და ვაბოლებ სიგარეტს...



(ჩემს მეგობრებს) აქ ემზარი განისვენებს, იქ ზურა და აქ, კი-სოსო, იქ გოგი და აქ კი-ჟორა...



ნატყვიარი შემხორცდა, გული ისევ მაწუხებს, ისევ უშედეგოდ ვებრძვი ყოფის უჟმურ მარწუხებს...



ცოდვილები ვართ ყველა, უკლებლივ, თან წმინდანების ნიღბებს ვატარებთ, ცოდვათა ჩვენთა გამოსასყიდად...



ყველა ჩემი ნაფიქრული აუმა უამაა გადაშალა, მთელს ჩემს წარსულს კვლავ აღვადგენ...



დადიანი დარღმა მოკლა გურიელიც-ასევე... იქ წარსულში რაღა გინდა, ფიქრო, რად არ მასვენებ?!



გული ვნებით ისევ ძველებურად იწვის, სული ისევ ძველებურად მწყურავალია, ბორკილები თუკი ხელზე ისევ მადევს...

თენგიზ ქაჯაიას

ზურგში დამჭრა ეშმას მონამ, ჩაკეცივე გაცვდა ღონე, ეს ქარები კვითინებს თუ შენი მოთქმა გავიგონე?...

ნოვინიანი ნოვინიანი სპორტი

სობის მუნიციპალიტეტში შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, სახელწოდებით—„სპორტული ფესტივალი სამეგრელო-ზემო სვანეთი“ 2012 წლის ფარგლებში ჩატარდა. შეჯიბრებები გაიმართა შემდეგ სახეობებში: მკლავჭიდი, მინი ფეხბურთი, ფრენბურთი, ქუჩის კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.

მკლავჭიდი
სტარტი მკლავჭიდებებმა აიღეს, სადაც შეჯიბრება 5 წონით კატეგორიაში (60, 70, 80, 90 და + 90 კილოგრამ წონით კატეგორიებში) გაიმართა. შეჯიბრება ჩატარდა ორივე-მარჯვენა და მარცხენა მკლავებით. 35-მდე მკლავჭიდი მთელი დღის განმავლობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. საბოლოოდ გამოვლინდნენ პრიზიორები და ჩემპიონები. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

60 კილოგრამიან წონით კატეგორიაში (მარჯვენა):
ვალერი გახოკია—I ადგილი; საბა გაბრავა —II ადგილი; გიორგი კულუა—III ადგილი.

70 კილოგრამიან წონით კატეგორიაში (მარჯვენა):
ამბაკო ქანდარია—I ადგილი; თენგიზ ლიპარტია—II ადგილი; დათა ლომია—III ადგილი.

80 კგ წონით კატეგორიაში (მარჯვენა):
დათა ბრეგვაძე—I ადგილი; ირაკლი ჭითანავა—II ადგილი; მანუჩარ ლატარია—III ადგილი.

90 კგ წონით კატეგორიაში (მარჯვენა):
ზაალ ოკუჯავა—I ადგილი; ოლეგ ალექსანდრია—II ადგილი;

ირაკლი ჭითანავა—III ადგილი.
80 კგ წონით კატეგორიაში (მარცხენა):
მანუჩარ ოკუჯავა—I ადგილი; ირაკლი ჭითანავა—II ადგილი; დათა ბრეგვაძე—III ადგილი.

90 კგ წონით კატეგორიაში (მარცხენა):
ზაალ ოკუჯავა—I ადგილი;

შეჯიბრებები და შედეგები

ამბაკო ქანდარია—II ადგილი; ოლეგ ალექსანდრია—III ადგილი.
+90 კილოგრამ წონით კატეგორიაში (მარცხენა):



თუმცა, აშკარა იყო ხეთელთა უპირატესობა. მათ ყველა მეტოქე ადვილად დაამარცხეს და ღირსეული ჩემპიონები გახდნენ.



გოგა შურღაია—III ადგილი.
+90 კილოგრამ წონით კატეგორიაში (მარჯვენა):
ზაალ ოკუჯავა—I ადგილი; ბესო ჟვანია—II ადგილი; პაატა გაბუნია—III ადგილი.

ზაალ ოკუჯავა—I ადგილი; ბესო ჟვანია—II ადგილი; პაატა გაბუნია—III ადგილი.

მინი ფეხბურთი

შეჯიბრება ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობაზე მინი ფეხბურთში, შეჯიბრებაში სულ 22 გუნდი იღებდა მონაწილეობას. ერთკვირიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ფინალისტები. სობის ფეხბურთელებმა ფინალურ მატჩში 4:2 დაამარცხეს შუა ქვალონის ფეხბურთელთა გუნდი და ზედმეტ ორჯერ გახდნენ მუნიციპალიტეტის ჩემპიონები.

ქუჩის კალათბურთი

ქ. სობში ჩატარებული ქუჩის კალათბურთის (სტრიტბოლი), შეჯიბრებაში 4 გუნდი იღებდა მონაწილეობას. სობელმა კალათბურთელებმა ფინალურ მატჩში ხეთელები დაამარცხეს და ჩემპიონები გახდნენ.

მაგიდის ჩოგბურთი

ქ. სობში კულტურის სასახლის ფოიეში შეჯიბრება ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრება გაიმართა ინდივიდუალურ პირველობაში როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში, სადაც 40-მდე მოთამაშე იღებდა მონაწილეობას. საპრიზო ადგილები კი ამჯერად ასე განაწილდა:

მამაკაცები:
ლევან ქავთარაძე (ხობი); დავით გვასალია (ხობი); ბექა ალონია (ხეთა); ზურაბ სალაყაია (პ/სორგა).
გოგონები:
თამარ კვარაცხელია (საჯიჯაო); ანა საჯაია (გურიფული); ნინო გაბრავა (ხეთა).

ჭადრაკი
მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა შეჯიბრება ჭადრაკში, სადაც თავი მოიყა-



ჩნო დამარცხდნენ და გათამაშებას გამოეთიშნენ.

კალათბურთი

კალათბურთში სობელებმა პირველ ტურში დაამარცხეს სენაკის გუნდი, თუმცა შემდეგ ზუგდიდებთან დამარცხდნენ და გამოეთიშნენ ასპარეზობას.

ფრენბურთი

ფრენბურთელთა შეჯიბრებაზე ხეთელებმა ჯგუფურ ეტაპზე დაამარცხეს მარტვილისა და ზუგდიდის გუნდები და ნახევარფინალში გავიდნენ. ნახევარფინალში მათ შეძლეს ჩხოროწყულების დაამარცხება და ფინალში ისევ მარტვილებს დაუპირისპირდნენ. მარტვილებმა რევანშის აღება შეძლეს და ჩემპიონები გახდნენ. ჩვენს ფრენბურთელებს კი მეორე ადგილი ერგო.

ჭადრაკი

ჭადრაკის პირველობა გაიმართა ფოთში, სადაც ჩვენმა წარ-



რეს ვეტერანმა მოჭადრაკეებმა. ტურნირი დაძაბულად წარიმართა და გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

ბადრი ლომია (ხობი); კობა კვიციანი (პ/მაისი); ირაკლი გოგენია (გურიფული).

გაიმართა რეგიონალური შეჯიბრებები, სადაც მუნიციპალიტეტებში გამარჯვებული გუნდები და პიროვნებები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ანაკლიაში გაიმართა შეჯიბრებები მინი ფეხბურთში, ფრენბურთში, ქუჩის კალათბურთში (სტრიტბოლი), მაგიდის ჩოგბურთში.

სობელმა გოგონებმა იყოჩაღეს და პირველობა არავის დაუთმეს. პირველი ადგილი დაიკავა ნინო გაბრავამ (ხეთა), რომელმაც ფინალში თამარ კვარაცხელია (საჯიჯაო) დაამარცხა. მესამე ადგილისთვის კი ერთმანეთს შეხვდა ანა საჯაია (გურიფული) და ნინო ჭეღია (ხობი). ანა საჯაიამ შეძლო ნინო ჭედიას დამარცხება და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. მამაკაცებში ლევან ქავთარაძემ, დავით გვასალიამ და ბექა ალონიამ კარგად იასპარეზეს, თუმცა საპრიზო ადგილებზე ვერ შეძლეს გასვლა. მინი ფეხბურთში სობელი ფეხბურთელები პირველივე მატ-

გზავნილებმა კობა კვიციანი, ირაკლი გოგენია და ბადრი ლომიამ დიდი წინააღმდეგობები გაუწიეს სახელოვან მოჭადრაკეებს, თუმცა, მათ ვერ შეძლეს საპრიზო ადგილების დაკავება.

მკლავჭიდი

ყველაზე კულმინაციური ღონისძიება სობელთათვის იყო მკლავჭიდის შეჯიბრება, რომელიც ქ. ჩხოროწყუში გაიმართა. სობელმა მკლავჭიდებებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს (მწვრთნელი კობა თუთბერიძე) და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

გვინდა, ყველა გამარჯვებულს მიეულოცოთ ეს წარმატება და ვუსურვოთ კიდევ მრავალჯერ ესახელებინოთ ჩვენი მუნიციპალიტეტი, ასევე გვინდა წარმატება ვუსურვოთ იმ სპორტსმენებსა და გუნდებსაც, რომლებსაც არ დაიშურეს ძალა და ენერჯია, რომ წარმატებით გამოსულიყვნენ შეჯიბრებაზე, თუმცა ზოგჯერ მსაჯებიც ცოდადგნენ.

კიდევ ერთი სიახლე: სპორტული ღონისძიებები ნოემბრის თვიდან გაგრძელდება და ვისურვებდი ამ შეჯიბრებებში ჩაერთონ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები და საჯარო მოხელეები.

ლევან ლემონჯაია.

სობის მუნიციპალიტეტის გამგებობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვისა და ახლგაზრდობის სამსახურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი სპორტის საკითხებში.

ხ ა ლ ხ ყ წ ი მ უ ღ ი ც ი ნ ა

ხველის დროს ვაშლის კანისა და კოშხის ნაყენი უხარია



თუ ხველამ შეგაწუხათ, თანაბარი რაოდენობით შურით ერთმანეთს კანთანადა გახეხილი ვაშლი, ხახვი და თაფლი. მიიღეთ თითო სადილის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ; მოაღწეეთ ვაშლის კანის ნახარში და სვით მთელი დღის განმავლობაში; ხველებს სწრაფად აწყნარებს შავი

ბოლოკის წვენი, დამტკბარი შაქრით. სვით თითო სადილის კოვზი, ყოველ საათში ერთხელ. შეურთეთ ბოლოკის ან სტაფილოს წვენი თაფლიან რძეს (1:1), მიიღეთ თითო სადილის კოვზი დღეში 7-8-ჯერ.
 თუ ხველა არ გაძინებთ, საღამოს, ძილის წინ, დალიეთ 1 ჭიქა ცხელ წყალში გახსნილი 3 წვეთი იოდის ხსნარი.
 ასევე, ხველას შეგიწოდებთ კომპოს ნახარში: დაჭერით კომპო კანთანადა. მოხარშეთ და დაატკბეთ. სვით მთელი დღის განმავლობაში.

კამა შეუდარებელია მათთვის, ვინც ცელულიტს ებრძვის. მისი გამოყენება სხვადასხვა სახით შეიძლება როგორც ცოცხლად, ისე მოხარშული. თუ ძალიან მოგშივდათ, დალევეთ კამა. რამდენიმე წუთში თავს დანაყრებულად იგრძნობთ. ამ ბოსტნეულში შემავალი ნივთიერებები ხელს უწყობს

სუსტი შარდმდენი ეფექტი. ლიმონის, ფორთოხლისა და ნატურალური თაფლის ნარევი კი წმენდს სისხლძარღვებს და ხელს უწყობს ორგანიზმს არტერიული წნევის შენარჩუნებაში. ის სპობს სტენოკარდიის, ინფარქტის და თავის ტვინში სისხლჩაქცევების ალბათობას.

კარგად ამოურიეთ. გადაიტანეთ ნარევი მინის ჭურჭელში. გააჩერეთ ერთი დღე-ღამის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ კი შედგით მაცივარში.
 მიიღეთ ორ-ორი ჩაის კოვზი, დღეში ორჯერ ჩაისთან ერთად, ან ჭამამდე, დაახლოებით, ნახევარი საათით ადრე.



ჭამეთ კამა და განიხილეთ სისხლი ლიმონის, ფორთოხლისა და თაფლის ნარევი

კანქვეშა ცხიმის ეფექტურ წვას, ორგანიზმიდან აქტიურად გამოაქვს დაგროვილი წიბები. წმენდს სისხლს ტოქსინებისგან, ასევე, ახდენს თირკმლის ფუნქციის სტიმულირებას, რადგან მას გააჩნია

აიღეთ ორი ცალი ლიმონი და ორი ცალი ფორთოხალი. გარეცხეთ, დაჭერით კანთანადა, გამოაცალეთ თესვები და გაატარეთ ხორცსაკვებ მანქანაში. მიღებულ მასას შეურიეთ ორი სუფრის კოვზი თაფლი და

ტურახე. შემდეგ კი შედგით მაცივარში.
 მიიღეთ ორ-ორი ჩაის კოვზი, დღეში ორჯერ ჩაისთან ერთად, ან ჭამამდე, დაახლოებით, ნახევარი საათით ადრე.

ორგანიზმის ფესვები გამოიყენება ოსტეოქონდროზის, რევმატიზმისა და პოდაგრის, შაქრიანი დიაბეტის, სუნთქვითი ორგანოებისა და კუჭ-ნაწლავის, თირკმლებში კენჭების არსებობისა და შარდკენჭოვანი და-

1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, გააჩერეთ 1 საათი, გაწურეთ და მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-ჯერ ჭამამდე, რეკომენდებულია ოსტეოქონდროზის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

ორკონანი - კურნალი



ავადების, კუჭში შეკრულობის, ბუასილის, კანზე გამოწყარისა და წყლულების სამკურნალოდ. გთავაზობთ რე-

3) სირსველის, ჩირქოვანი იარების, წყლულების, ფურუკულის, მასტიტის, ეგზემისა და პოდაგრის დროს-ორკონანის დასრეხილი ფოთლები ქვედა მხრიდან დაიღეთ დაზიანებულ ადგილზე.

4) ფიბრომიომისა და საშვილოსნოს მიომის დროს-2ჩ/კ გამხმარ ორკონანის ფოთლებს დაასხით 2ჩ/ჭ მდულარე წყალი, 10 საათი გააჩერეთ მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში თბილ ადგილას. გაწურეთ და მიიღეთ 100 მლ ნაყენი 4-ჯერ დღეში.

5) ქუსლების წანაზარდებზე („დეზებზე“) დაიღეთ ორკონანის ფოთლები და მჭიდროდ შეიხვიეთ, ჩაიცვით წინად, ერთი დღე-ღამის შემდეგ ახალი კომპრესი გაიკეთეთ. საჭიროა 5 პროცედურა.

უნიკალური მკურნალი-ბროწეული

ერთი ჭიქა ბროწეულის წვენი ავთვისებიანი სიმსივნის ზრდას აჩერებს - ამ დასკვნამდე კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ, როდესაც 50 ადამიანს შესაბამისი გამოკვლევები ჩაუტარეს. გამოკვლევების ავტორები პაციენტებს ერთი თვის განმავლობაში ერთ ჭიქა (225 მლ) ბროწეულის წვენს ასმევდნენ. გამოკვლევაში მონაწილეობდნენ პაციენტები, რომლებსაც პროსტატის სიმსივნე აღმოაჩნდათ, უკვე გადატანილი ჰქონდათ ოპერაცია და ქიმიოთერაპიის კურსს გადიოდნენ. გამოკვლევამ აჩვენა, რომ წვენის ერთთვიანი მიღების შემდეგ სიმსივნის ზრდა ორჯერ შემცირდა. მეცნიერთა თქმით, ბროწეული შეიცავს მრავალ სასარგებლო კომპონენტს - იზოფლავონებს, ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ანთების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. თუმცა, ჯერჯერობით არ არის დადგენილი, კონკრეტულად რომელი კომპონენტი მოქმედებს სიმსივნის წინააღმდეგ. ვარაუდობენ, რომ სასიკეთო შედეგი არა რომელიმე ერთის, არამედ სხვადასხვა კომპონენტის კომბინაციით მიიღწევა.



ქორფა ფოთლებისა და ფესვების მიღება. ის მოქმედებს, როგორც უეხარი საშუალება.
 ოხრახუშის წვენს არაერთი დაავადების დროს იღებენ. მათ შორის: თირკმლის, ღვიძლისა და ნალვლის ბუშტის გასასუფთავებლად.
 200 გრამ ოხრახუშს დაასხით 2 ბოთლი ბორჯომი და წამოაღწეეთ. მიღებული ნახარში დალიეთ ათი დღის განმავლობაში,

ცეპტებს:
 1) 1 ს/კ დაქუცმაცებულ ორკონანის ფესვებს დაასხით 1 ჩ/ჭ წყალი და 10 წუთით ადუღეთ. 1 საათი გააჩერეთ თავდახურული. ნაყენი გამოიყენეთ საფენებისთვის, კომპრესიებისა და გამოსავლებად.
 2) 2 ს/კ დაქუცმაცებული ფესვები ჩაყარეთ თერმოსში, დაასხით

შინდი მდღიანაში



შინდი (როგორც ცოცხალი ნაყოფი, ასევე მურაბა) სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის დაავადებათა დროს. მის შემადგენლობაში შემავალი ფიტონციდების სიჭარბე დამლუკველად მოქმედებს ტიფის, დიზენტერიისა და სხვა ინფექციურ დაავადებათა გამომწვევებზე. შინდის ნაყოფი რეკომენდებულია გასტრიტის (კუჭის ლორწოვანი გარ-

სის ანთებითი დაავადების) დროს.
 ფალარათის საწინააღმდეგოდ იყენებენ დანაყიდ ნაყოფს თესლთან ერთად, არეულს თაფლსა და კვერცხის გულში. კარგ შედეგს იძლევა ასევე ნაყოფისგან მომზადებული ნაყენი და ნახარში. ნახარშის მოსამზადებლად უნდა აიღოთ 2 სადილის კოვზი ხმელი შინდი, დაასხათ ერთი ჩაის ჭიქა მდულარე წყალი, ნახევარი საათი ადუღოთ, ცხელ-ცხელი გადაწურეთ და საწყის მოცულობამდე შეავსოთ ადუღებული წყლით. მიერთვით დღეში სამჯერ 100 გრამი. ნაყენის მოსამზადებლად 2 სადილის კოვზ ნაყოფს ასხამენ ერთ ჩაის ჭიქა მდულარე წყალს, 8 საათი აჩერებენ და დღეში ორჯერ 100 მლ-ს სვამენ.

შინდის ნაყოფი რეგულარულად უნდა იყოს ჩართული რაციონში ეგზემისა და კანის სხვადასხვა დაავადების დროს. პექტინების დიდი ოდენობით შემცველობის გამო, შინდის ნაყოფი აჩქარებს ორგანიზმის გაწმენდას მეტაბოლიზმის ცალკეული პროდუქტებისგან, ხელს უწყობს შარდისა და მკაუნწყავას გამოდევნას.

შინდით მკურნალობენ პოდაგრას, სისხლნაკლებობას, ნივთიერებათა ცვლის დარღვევას. ანემიის, ვიტამინების ნაკლებობის, ორგანიზმის დასუსტების (ზოგადად იმუნიტეტის დაქვეითების შემთხვევაში) დროს აუცილებელია შინდის როგორც ცოცხალი, ასევე ხმელი ნაყოფის მიღება.

ღხრასუში ორგანიზმს წმენდს



ჭელში მთელი ღამით, დილით კი გადაწურეთ და დაამატეთ 1 ლიმონის წვენი. დალიეთ 1 სადილის კოვზი, დღეში 5-6-ჯერ. ორი დღის შემდეგ შეისვენეთ და 3 დღის შემდეგ კვლავ გაიმეორეთ.
 ჰემოგლობინის ასამაღლებლად საჭიროა ოხრახუშის

დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.
 ოხრახუშს ჭამენ კენჭოვანი დაავადებების დროს, როგორც შარდმდენ საშუალებას. ასევე, ისეთი ინფექციური დაავადებებისას, როგორცაა წითელი, ჩუტყვავილა და ქუნთრუშა.

თუ გსურთ, თირკმლები გაიწმინდოთ, 1-2 სადილის კოვზ დაჭრილ ოხრახუშს დაასხით ნახევარი ლიტრი მდულარე წყალი და გააჩერეთ ცოტა ხნით. სვით მთელი დღის განმავლობაში, როცა მოგწევრდებათ.

ხალხური მდიცინის რეცეპტები

ჭიების საწინააღმდეგოდ და ამოსახველებლად:
 3-7 გრამი ატმის გამხმარი თესლი ჩაყარეთ მომინაქრებულ ქვაბში, დაავსათ 200 მლ მდულარე წყალი და 5-7 წუთი ნელ ცეცხლზე ვადუღოთ. გაავარილოთ და გაწურეთ. მივიღოთ მესამედი ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 1 საათით ადრე.
 რევმატიზმის, თავის ტვინისა და გასტროენტერიტის დროს:



1 სუფრის კოვზი დაფუნდული ატმის ფოთლი ჩაყარეთ მომინაქრებულ ქვაბში, დაავსათ 250 მლ მდულარე წყალი და 5 წუთი ვადუღოთ წყლის აბაზანაზე, დაავაწყოთ 1,5-2 საათით და გაწურეთ ორფა დობანდში. მივიღოთ 50 მლ დღეში 4-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

საფლარათო (კუჭში გამხსნელი) და შარდმდენი ეფექტისათვის:
 3-4 გ ატმის ხმელი ყვავილი ჩაყარეთ მომინაქრებულ ქვაბში, დაავსათ 150 მლ მდულარე წყალი, 5 წუთს ვადუღოთ წყლის აბაზანაზე, გაავაციოთ (2 საათის განმავლობაში) და გაწურეთ ორფა დობანდში. მივიღოთ 50 მლ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

სულთანა

უკვდავებაში გადასული სიცოცხლე (გოგა ბერია)

საქართველო... 2008 წელი... 8 აგვისტო... გოგა ბერია... პირტიტველა ყმაწვილი, გულან-თებული, შეუდრეკელი, სოფელ ხორგაში დაბადებული და გაზრდილი. ჩემი ჯიში და ჯილაგი, რომ იტყვიან უშვილიდროდ, უფესვოდ დარჩენილი, მხოლოდ 22 წლის, მაგრამ დიდი ქართველი.



თვის. ხორგა და ხორგელები არასოდეს დაივიწყებენ მის სახელს და უკვდავებაში გადასულ სიცოცხლეს. ჩვენ მუდამ ვიამაყებთ გოგა ბერაიას გმირობით... იმ ბიჭების გმირობით, რომლებმაც სიცოცხლე ანაცვალეს სამშობლოს ისე, რომ არც დაფიქრებულან. არადა ბევრი იყვნენ, ბევრი არიან, ბევრი იქნებიან მომავალში.

ნაირა ბერია.

ლამარა თოფურია

გარდაიცვალა აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი ლამარა თოფურია. ლამარა თოფურია დაიბადა 1932 წელს ქ. სენაკში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც აგრეთვე წარჩინებით დაამთავრა და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაგრის, განთიადის, სობის, სოხუმის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. წლების განმავლობაში იყო სასწავლო ნაწილის გამგე და მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. დიდი წვლილი მიუძღვის და უშუალოდ მონაწილეობდა სოხუმში არაქარველთა შორის ქართული ენის პოპულარიზაციასა და სწავლების საქმეში.



იკრება და გამოიცა წიგნებად - „გიყვარდეს“, „მე შენში ვცოცხლობ“ და „მოზარდის ფსიქოლოგია“. ამ წიგნებში თავი მოიყარა მის მიერ შექმნილმა თითქმის ყველა ლექსმა და ნაწარმოებმა, რომლებიც გამსჭვალულია დიდი სითბოთი, სიყვარულით, ოპტიმიზმით, პატრიოტიზმით. მის ყოველ ლექსს თუ ნოველას წითელ ხაზად გასდევს ჰუმანურობა, სიფაქიზე, კაცთმოყვარეობა, ამაღლებული სული და მომავლის რწმენა. დეკლამაციური პედაგოგის, პოეტისა და მწერლის ლამარა თოფურიას ნათელი ხსოვნა მისი ახლობლების, აღზრდილებისა და მეგობრების გულში სამარადისოდ დარჩება.

ოჯახი.




„დე, ბაღე მოვალ!“ (ლევან ბუკიას ხსოვნას)

ლევან! 16 ოქტომბერს შენს საფლავზე მისულ ადამიანთა სიმრავლე დასტურია იმისა, რომ ბევრს, ძალიან ბევრს ახსოვხარ, უყვარხარ და ენატრები. ყველა გიგონებდა, როგორც განათლებულ, ჰკვიან, განსაკუთრებულად პეწიან ბიჭს. მოსაგონარი ბევრი ჰქონდათ, თუმც ასაკით პატარა იყავი, მაგრამ თითქმის ყველაფერი მოასწარი, მომავალი კიდევ მეტს გიმზადებდა, დარწმუნებული ვარ, ახლა მაღალი თანამდებობის, დიდი ოჯახის მამა იქნებოდი, სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია.

მას შემდეგ 12 წელიწადი გავიდა. ტკივილი არ განულებულა, სხვა გზა და ფორმა აიჩინა, საზოგადოებას, ახლობლებს ანგარიში გაეწია... შენ, მშობლების-მარინა ლაგვილავას და ვაჟა ბუკიას საფიცარო შვილი, დღესაც ისევე გესაუბრებიან, როგორც მაშინ, ისევე ეითვლები, უყვარხართ, ეგაა, უზომოდ ენატრები, მათ უფალმა მისცა ძალა, სძლიონ ამ მონატრებს. დღესაც ჩაეხსენებ შენ უკანასკნელი სიტყვები. „დე, მაღე მოვალ!“ ნუგეში მათ და უდიდესი მონატრება, სიყვარული-შენ, გაუნელებელი ტკივილი, უკვე 36 წლის ვაჟკაცი. ლევან, კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების დღეს!

მერი ლაგვილავა

ლიდერი ალანია



ლიდერი, გილოცავთ დაბადების დღეს! 65 წლის გახდი. 2 ოქტომბერს კი ერთ წელი შესრულდა, რაც წახვედი ამ ქვეყნიდან და მარადისობაში გადაინაცვლე. ეს დრო ტკივილით, ცრემლით, ანთებული სახით, საფლავზე ჩაკონწითა და მოფერებით გაიღია. ტკივილი უფრო მძიმდება და გაუსაძლისი მონატრება მიპყრობს. ენატრები და აკლიხარ შენს სათაყვანებელ შვილებს, შვილიშვილებს, ისინი გააგრძელებენ შენს ტრადიციებს და შენსავით სახელოვნად იცხოვრებენ. შენ ხომ ისინი ასე დამოდვრე და დალოცე. ცხოვრების ბოლო წლებში უკურნებელმა სენმა დაგიმონა, რომელიც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, დღითიღე გაცილიდა ძალას, ენერჯიას და მეტყველებას. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე შენ წარმოუდგენელი სიმამაცე გამოიჩინე-სძლიე ავადმყოფობას, გონება დაგეწმინდა, ენა ამოიდგი და ისეთი ლიდერი გახდი, როგორც გვახსოვდა მეგობრულ შემხვედრებში, აძლერად და დაც ამბერე, შენი საყვარელი ლექსები წაგვიკითხე, ეს საოცრება იყო! ლიდერი! შენ უსაზღვროდ თბილი, კეთილი, უღალატო ადამიანი იყავი. შენში ერთნაირად იყო შერწყმული ფიზიკური და სულიერი სილამაზე. (დაუმსახურებელმა სამსახურებრივმა ტკივილმა საბოლოოდ გაგანადგურა, თუმცა, ეს ყველას მიუტევებ). მეამაყება შენი მეუღლეობა და ერთად გატარებული 37 წელი. ჩვენ ერთნი ვიყავით და ერთმანეთის ტკივილითა და სიზარულით ვცოცხლობდით. დღეს კი ჩემი თანმდევი მხოლოდ მონატრებაა-ჩუმი, გაუსაძლისი, გულის სიღრმემდე შემპვრელი, დაუწყვებელი. ყველას, ყველას ძალიან გვიყვარხარ, გვაკლიხარ და უზომოდ გვენატრები. ლიდერი! ჩვენს დიდ სიყვარულს დაივიწყებ არ უწერია და გჯეროდეს, ჩემი დარჩენილი სიცოცხლის მცირე მონაკვეთში ვილოცებ შენზე და ყოველდღე დაგინთებ სანთლებს. დაე, უფალმა ზეციურ სასუფეველში სავანის პოვნაში გიწინამდგროს.

მეუღლე, შვილები, შვილიშვილები.

ნაყენი ბულიდან ამოხული ლექსად თქმული სიყვარული განმტრება შენ ნუ გგონია რამეს ვდარდობ, რამეს მივტირი, ნურც იმას ფიქრობ უზენაესს რამეს შეუთქვამ, მე მიჭირს, შენთან განშორება, თორემ სიკვდილი? სიკვდილი რაა-სულის გაყრა ცოდვილ სხეულთან. * * * სიმარტოვეში დაფოფხავს ჩემი ობოლი სული დღე და ღამ ფიქრმა იმსხვერპლა გამიჩანავდა გული. ლალი სიცოცხლე მეწვავდა შრომას შევიწირე დღენი. ახალგაზრდობა გავლიე მოსაგონებლად ძნელი. ყველგან სიკეთე ვთესე, სადაც მიმიწვდა ხელი, ზნეობა იყო ყოველთვის ჩემი ცხოვრების წესი. * * * ჯერ მოლოდინით ამტკიცება გული მერე მოლოდინის ფერი ეცვალა და ერთადერთი ჩემი იმედი, ეჭ, რა უეცრად გარდამეცვალა... * * * არავითარი შური, არავითარი ღვარძლი სუფთა, კამკამა სული ესაა ჩემი განძი. არავარ გულდრმოდ და ხამი ვიცე, ვარ ვისი გორის... კი არ ვტრავახობ ამით, ისე ვთქვი სხვათაშორის. ლიდერი ალანია

იმედი ბერიშვილი



4 ნოემბერი მოახლოვდა... 48-ე დაბადების დღე უშენოდ გაივლის იმე! დღე, რომელიც ძალიან გიყვარდა. ამ დღეს განსაკუთრებულად, გამორჩეულად გამოიყურებოდი, გიხაროდა... ლამაზი ცხოვრება გიყვარდა, მაგრამ არ დაგცალდა, სიცოცხლე მოწყურებული წახვედი ამ ქვეყნიდან, ჩვენ კი დაბადების დღეს ცხარე ცრემლებით გილოცავთ და 48-სანთელს დავანთებთ შენს საფლავზე. მეათე თვეა ჩვენი მხედველობის მიღმა აგრძელებ სულიერ ცხოვრებას ჩვენი მოუწვევებელი დარიღა და ტკივილი, ჩვენთვის ნაად-

რევად ჩამქრალი სიცოცხლე, ირგვლივ სევდიანია ყველაფერი, თითქოს მხიარულებამ სხვაგან გადაინაცვლაო, ერთ დროს ბედნიერი პატარა ოჯახი სევდამ და ტკივილმა მოიცვა, სიზმარივით სწრაფად გაირბინა ჩვენი ერთად ცხოვრების ლამაზმა 8 წელმა, როგორ მეშინოდა იმ დღის, როცა არ იქნებოდი, ვერ წარმომედგინა უშენოდ ცხოვრება, თითქოს მე და შენ ერთმანეთთან განუყოფელი ძაფით ვიყავით დაკავშირებული, წახვედი და ჩემი ცხოვრების რაღაც ნაწილი თან წაიღე, რომლის დანაკლისს მთელი ცხოვრება განვიცდი. ძალიან გვენატრები იმე! ხშირად ჩაგვესმის შენი ხმა, შენი დარიგებები, ძალიან, ძალიან ენატრები შენს ერთადერთ ცოტნეს, რომელიც უზომოდ გიყვარდა, ძნელი ყოფილა ობლობა, ძალიან ძნელი, ვერაფერი უვსებს უშენობას, თვალ-ცრემლიანი ეჩურჩლელებს შენს სურათებს-„ჩემი მამიკუხია“, კონცინ

მეუღლე მირანდა ლურჯია.

რეკლამა

შ.პ.ს. „მკურნალი“

(ლევან ქავთარაძის კლინიკა)

გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას მისაღებ ფასებში:



- * ნეკროლოგი;
- * ხარდიოლოგი;
- * თერაპევტი;
- * გინეკოლოგი;
- * ორსულთა

პატრონაჟი

**სახელმწიფო
პაუჩარული
პროგრამით;**
* ქირურგი (24 საათიანი სამუშაო რეჟიმში);



- * ოფთალმოლოგი;
- * ფიზიოთერაპევტი;
- * მასაჟისტი;
- * ალტერნატიული და ბიოქიმიური ლაბორატორია;
- * ექოსკოპია.

ალტერნატიული და მომსახურება მოსაოვრის, სანახ-
ვატარებისა და აივანის საუბათისო ალტერნატიული
ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილების მქონე
სპეციალისტებით.

მოგამსახურებით ყოველდღე, 10 საათიდან
16 საათამდე ავირთ დღის გარდა.



**ალტერნატიული მსახურება
სადაზღვევო კომპანია
„არდი“ ჯგუფში დასაქმებულ
პაციენტებს.**
**მუშაობს ავტომატი დახალ
ფასებით, 24 საათიან
რეჟიმში.**

მისამართი: ქ.სობი, ცოტნე დადიანის ქუჩა №193 (ყოფილი
სასტუმროს) შენობა.
დასაბამითი ინფორმაციისათვის დარჩებით: 597 92-69-68; 790
75-78-29; 597 71-55-11.

მედიცინა

ნანა თირქიას!



ქალაქბრევი ნანა, ბილწავით დაავადების დამამარცხებელი და მკურნალი უძველესი მკურნალია. მკურნალია მკურნალია მკურნალია.

მკურნალია, რომელიც ყველასთან, ასევე კოლექციონერ
ხალხს, მკურნალია, სიკეთეს ატარებს. ღირსი აუ-
ნების და გულის დაავადანი, ყველასთან, სადაც კი
საჭიროა და აუხილაველი, ასწავლეთ მისვლას,
ხმის მიწვევას, გვერდით ღმრთავს.

„დაუზარალი“-მ სიმკვლე, ვიწროვით, ყველანაირ მებრძოლ მსახურება
მკურნალი აუხილავს.

კიდეც ერთხელ ბილწავით და ღმრთავთ ღირსიან გასწავლეთ
ოჯახთან, ახლომდებარე, უამრავ ნაწილს-მკურნალია მკურნალია.

მაღალკვალიფიციური მკურნალია.

ბიის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლეჯი.

ბოზი ბუკიას!



ჩვენ უსაყვარლესი ბავშვია, გილტვით
დამაღვინის დღეს. გვინდა ჩვენთან ერთად
მედიცინა და ლაღად იცხოვროს. შინ
ჩვენი და ჩვენი მშობლების, მშობლებისა
და მამების მდი და სიხარული ხარ.

ცაფა და ნუცა.

რეზო წულაიას!



ჩვენ პატივად, თბილისის გასწავლი.
ნამდვილი ვაჟკაცი ხარ ჩვენ
სიამაყე.

გილტვით დამაღვინის დღეს და
ყველაზე საუკეთესოს გისურვებთ.
გაზრდილიყავი ჯანმრთელი და
სასახლეთ შიქი, ნამდვილი „ბიანი“.
გვიყვარსხარ და გვიმეღვინ!
მედი და მამია
მშობლებთან ერთად.

ნიცხოვრეთ დიდხანს...

სობი პატარა ქალაქია და ცოდ-
ვა-მადლიც ამ ქალაქში ადვილი და-
სანახია. სშირად მიწვევს სობის
ბავშრები შევლა. შესვლისთანავე ჩემ-
და უნებურად გული ერთი
ჯიხურისკენ მიმიწვევს, სადაც მამა-
შვილი თამაზი (პასტო) და თენგიზ
გვასალიები სიხარულით მიმიღებენ.
წლებია, რაც თამაზი ხობლებს თა-
ვისი საქმიანობით კარგად ემ-
სახურება. ამიტომაცაა, რომ მას ბევ-
რი ემადლიერება. მისმა შვილმაც
მამის სპეციალობა აირჩია, ისიც
კარგი მეწაღეა.

თქვენ პატიოსანი, სინდისით და
სუფთა საქმის კეთებით ხართ და-
კავებული, ამიტომაც ყველას
უყვარხართ. ადამიანებისათვის ყვე-
ლაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარ-
ულია და სწორედ, რომ ეს ჯილ-
დო დამსახურებს მათ ხობელებისა-
გან. პირადად მე მინდა, მადლობა
გადაუხადო მათ იმ სითბოსა და
მზრუნველობისთვის, რასაც ჩემდა-
მი იჩენენ.

იცოცხლეთ დიდხანს ხალხის სა-
კეთილდღეოდ, ღვთის მადლი და
წყალობა არ მოგკლებოდეთ.
კოლეგია აბურჯანი.

**დამფუძნებელი: სობის მუნიციპალიტეტის
საკრებულო.
გამომცემელი შპს „სობის მოამბე“**
სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „სობის
მოამბე“ დირექტორი-მერი ლავილაია.
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე-ნანი
კილახონია.
რედაქტორი-მანანა შულაია.
ჟურნალისტები-ნანა კემულარია, ნინო გერგაია,
რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცაბაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა-ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აუქსო და დაკაპალონდა შპს „სობის მოამბე“.
მის: სობი, ვიწროვანი ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13;
22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი,
რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელებს თავისუფალი
პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ
მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.